



მგზავრებისა გადაყვანისა და ბარგის გადატანის

ზოგადი წესები და პირობები

1. შესავალი

- 1.1. ჩვენი ავიაკომპანიის მიერ განხორციელებული რეისის ბილეთის შექენით, თქვენ ჩვენთან დებით გადაყვანის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება რეგულირდება:
 - 1.1.1. თქვენს მარშრუტის ქვითარში მითითებული პირობებით;
 - 1.1.2. შესაბამისი ტარიფების დოკუმენტით;
 - 1.1.3. გადაყვანის წინამდებარე ზოგადი პირობებით;
 - 1.1.4. და ნებისმიერი სხვა წესითა და რეგულაციით, რომელიც შეიძლება დროდადრო გამოქვეყნდეს ჩვენი ავიაკომპანიის მიერ.
- 1.2. გადაყვანის წინამდებარე ზოგადი პირობები (შემდგომში „პირობები“) ვრცელდება თქვენს ჯავშანზე სს უანქლიქ ეარვეიზთან, რომელიც არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, იურიდიული მისამართით: ამალღება III შესახვევი 2, მე-7 სართული, ბინა 25, მთაწმინდის რაიონი, თბილისი, საქართველო. თქვენს ჯავშანზე ასევე ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისი მითითების გზით წარმოადგენს წინამდებარე პირობების შემადგენელ ნაწილს:
 - 1.2.1. ჩვენი ვებგვერდის გამოყენების პირობებს — იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იყენებთ ჩვენს ვებგვერდს;
 - 1.2.2. თქვენი ჯავშნის დადასტურებას და მასში მოცემულ ნებისმიერ განსაკუთრებულ პირობას.

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ეს პირობები ფრენის დაჯავშნამდე და დარწმუნდით, რომ სრულად გასმით ისინი . ჩვენ შესაძლოა დროდადრო განვაახლოთ ეს პირობები, ამიტომ თქვენ უნდა გადაამოწმოთ ისინი ყოველი ჯავშნის წინ, რადგან გადაყვანის ხელშეკრულება დადებულად ითვლება თქვენ მიერ ბილეთის სრული ტარიფის გადახდისა და ჩვენ მიერ მარშრუტის ქვითრის გაცემის მომენტიდან.

- 1.3. ამ დოკუმენტში გამოყენებულ გარკვეულ ტერმინებსა და განსაზღვრებებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც უნიკალურია ამ დოკუმენტისთვის და შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვა

ავიაკომპანიების მიერ გამოყენებული მნიშვნელობებისგან. იმ შემთხვევაში, თუ ამ პირობებში გარკვეული სიტყვები და ფრაზები დიდი ასოებით არის აღნიშნული, მათ აქვთ ქვემოთ, მე-2 პუნქტში მოცემული განსაზღვრებები.

- 1.4. ამ წესებსა და პირობებში, როდესაც ვახსენებთ უანქლიქ ეარვეიზს ან ვიყენებთ სიტყვებს „ჩვენ“, „ჩვენი“ და მათ წარმოებულებს, ვგულისხმობთ სს "უანქლიქ ეარვეიზს" . ხოლო როცა ვიყენებთ სიტყვებს „თქვენ“, „თქვენი“ და მათ წარმოებულებს, ვგულისხმობთ თქვენ, როგორც მგზავრს ან ჯავშანში მითითებულ პირს.
- 1.5. ეს წესები და პირობები არეგულირებს სს უანქლიქ ეარვეიზსა და მგზავრებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობას და მიზნად ისახავს მგზავრებისა და მათი ბარგის უსაფრთხო, ეფექტური და სამართლიანი ტრანსპორტირების უზრუნველყოფას. ისინი ვრცელდება სს უანქლიქ ეარვეიზის მიერ მოწოდებულ ყველა სატრანსპორტო მომსახურებაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და მოქმედი საერთაშორისო კონვენციების დებულებების შესაბამისად. წინამდებარე წესებსა და საქართველოს კანონმდებლობისა და მოქმედი საერთაშორისო კონვენციების დებულებების შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების დებულებებს.

2. განმარტებები

- 2.1. **„თანხლები ზრდასრული“** არის არანაკლებ თვრამეტი (18) წლის პირი, რომელიც მგზავრობს არასლუწლოვანთან ერთად და რეგისტრირებულია იგივე ჯავშანში.
- 2.2. **„მოქმედი კანონმდებლობა“** ნიშნავს საქართველოს ყველა კანონს და კანონქვემდებარე აქტს რომელიც ვრცელდება თქვენს ჯავშანსა და მოგზაურობაზე, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, მოქმედ საერთაშორისო კონვენციას.
- 2.3. **„ბარგი“** ნიშნავს თქვენს პირად ნივთებს, რომელიც თან ახლავს თქვენს მოგზაურობას, მათ შორის რეგისტრირებულ ბარგს, ხელბარგს (არარეგისტრირებულ ბარგს), ბორტზე არსებულ ზედმეტ ბარგს და პირად ნივთებს, გარდა იმ ნივთებისა, რომელთა გადატანა აკრძალულია ამ პირობების შესაბამისად.
- 2.4. **„ჯავშანი“** არის სს უანქლიქ ეარვეიზის ერთი ან მეტი რეისის ჯავშანი, რომელიც დადასტურებულია ჩვენ მიერ.
- 2.5. **„ბარგის საიდენტიფიკაციო საჭდი“** ნიშნავს თქვენს ბარგზე მიმაგრებულ დოკუმენტს, რომელიც გაიცემა მხოლოდ თქვენი შემოწმებული ბარგის იდენტიფიკაციისთვის.
- 2.6. **„ბარგის საიდენტიფიკაციო ქვითარი“** ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც გაიცემა მხოლოდ თქვენი შემოწმებული ბარგის იდენტიფიკაციისთვის და მიმაგრებულია თქვენს ჩასხდომის ბარათზე.

- 2.7. **“ჯავშნის განმახროციელებელი პირი”** ნიშნავს სრულწლოვან და სრულუფლებიან ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს როგორც მგზავრის აგენტი და ახორციელებს ჯავშანს საკუთარი სახელით და/ან სხვა მგზავრების სახელით. **“ჯავშნის განმახროციელებელი პირი”** ასევე გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც იხდის მგზავრის მარშრუტში მითითებულ სრულ ტარიფს, მათ შორის ტურისტულ სააგენტოებს.
- 2.8. **„ჩასვლის ბარათი“** ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც (i) გაიცემა რეგისტრაციის დახლზე და შეიცავს თქვენი ჯავშნის საცნობარო ნომერს ან მარშრუტის ქვითარს და მოქმედ სამგზავრო დოკუმენტებს; ან (ii) დაბეჭდილია, გადმოწერილია ან ნაჩვენებია თქვენს მობილურ მოწყობილობაზე (Passbook-ში ან სხვა მსგავს აპლიკაციაში) ონლაინ ან მობილური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ და გაძლევთ თვითმფრინავში ასვლის უფლებას.
- 2.9. **„ხელბარგი“** ნიშნავს თქვენს ბარგს, რომლის თვითმფრინავში ატანაც შეგიძლიათ ამ წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 2.10. **„მომხმარებელთა მომსახურება“** ნიშნავს ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების სატელეფონო ხაზს, რომლის მიმდინარე ნომრები მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე.
- 2.11. **„გაუქმების საფასური“** ნიშნავს 6.4.1 პუნქტის შესაბამისად ჯავშნის გაუქმების შემთხვევაში ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ჩვენს ვებგვერდზე მითითებული ოდენობით თქვენ მიერ გადასახდელ თანხას.
- 2.12. **„გადამზიდავი“** ნიშნავს ავიაგადამზიდავეს, რომელმაც გასცა ბილეთი, ასევე ყველა ავიაგადამზიდავეს, რომელიც ასრულებს ან იღებს ვალდებულებას მგზავრის და/ან მისი ბარგის გადაყვანის შესახებ ამ შეთანხმების შესაბამისად.
- 2.13. **„შემოწმებული ბარგი“** ნიშნავს ბარგს, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ჩვენს მფლობელობაში და რომელსაც ვურთავთ ბარგის საიდენტიფიკაციო საჭდს.
- 2.14. **„კონვენცია“** ნიშნავს, შესაბამის შემთხვევაში: (ა) მონრეალის კონვენციას საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებთან დაკავშირებული გარკვეული წესების გაერთიანების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მონრეალში 1999 წლის 28 მაისს; ან (ბ) თუ მონრეალის კონვენცია კანონის ძალით არ ვრცელდება თქვენს გადაყვანაზე, ნებისმიერ სხვა კონვენციას, ხელშეკრულებას ან კანონს, რომელიც ვრცელდება თქვენს გადაყვანაზე და სავალდებულოა სს უანქლიქ ეარვეიზისთვის, მათ შორის, შუზლუდვის გარეშე, 1929 წლის 12 ოქტომბერს ვარშავაში ხელმოწერილი საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვებთან დაკავშირებული გარკვეული წესების გაერთიანების შესახებ კონვენცია („ვარშავის კონვენცია“) და მისი ნებისმიერი შემდგომი ცვლილება, ოქმი ან დამატება (მაგალითად, 1955 წლის ჰააგის ოქმი, 1961 წლის გვადალახარას კონვენცია და სხვ.).
- 2.15. **„ხელშეკრულება“** — თქვენსა და სს უანქლიქ ეარვეიზს შორის დადებული ხელშეკრულება მგზავრებისა და ბარგის საჰაერო გადაყვანის შესახებ.

- 2.16. **„ტარიფი“** — საჰაერო გადაყვანის ფასი გამგზავრების წერტილიდან დანიშნულების ადგილამდე, სხვა მომსახურების საფასურის გამოკლებით.
- 2.17. **„სხვა მომსახურების საფასური“ / „მომსახურების საფასური“** — საჰაერო გადაყვანასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების საფასური, როგორც ეს მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე.
- 2.18. **„გადაყვანის ზოგადი პირობები“** — სს უანქლიქ ეარვეიზის მიერ მგზავრებისა და ბარგის საჰაერო გადაყვანის დებულებები, როგორც ეს მითითებულია გადაყვანის ამ ზოგად პირობებში, ასევე მოხსენიებული, როგორც „პირობები“.
- 2.19. **„ჩვილი“** — მგზავრი, რომლის ასაკი მგზავრობის თარიღისთვის ერთი დღიდან ორ წლამდეა.
- 2.20. **„მარშრუტის ქვითარი“** — დოკუმენტი, რომელიც გაიცემა ტარიფის სრული გადახდის შემდეგ, შეიცავს თქვენი ჯავშნის დეტალებს და წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს.
- 2.21. **„მცირეწლოვანი“** — მგზავრი, რომელსაც მგზავრობის მომენტისთვის 14 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია, მათ შორის
- „ჩვილი“ - მგზავრი, რომელიც მგზავრობის მომენტისთვის არის სულ მცირე 1 დღის, მაგრამ არ მიუღწევია 2 წლის ასაკისთვის და
 - „ბავშვი“ - მგზავრი, რომელიც მგზავრობის მომენტისთვის არის სულ მცირე 2 წლის, მაგრამ არ მიუღწევია 14 წლის ასაკისთვის.
- 2.22. **„უანქლიქ ეარვეიზი“, „ჩვენ“ ან „ჩვენი“** ნიშნავს სს უანქლიქ ეარვეიზს.
- 2.23. **„დამატებითი მომსახურება“** — ჩვენი ან მესამე მხარის მიერ გაწეული მომსახურება საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია ჩვენს ვებგვერდებზე.
- 2.24. **„მგზავრი“** — ჯავშნის საფუძველზე თვითმფრინავით გადასაყვანი/გადაყვანილი ნებისმიერი პირი - ეკიპაჟის წევრების გარდა.
- 2.25. **„შეზღუდული მოძილურობის მქონე ან სპეციალური დახმარების საჭიროების მქონე მგზავრი (PRM)“** — მგზავრი, რომლის მოძილობა შეზღუდულია ფიზიკური შეზღუდვის, ასაკის ან ავადმყოფობის გამო და რომლის მდგომარეობაც საჭიროებს სპეციალურ დახმარებას.
- 2.26. **„პირადი საკუთრება“** — 8.4 მუხლში ჩამოთვლილი მცირე ზომის ნივთები, რომელთა თან წაღებაც შეგიძლიათ ბორტზე თქვენი ხელბარგის გარდა.
- 2.27. **„SDR“** — საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განსაზღვრული სპეციალური ნასესხები უფლებები.
- 2.28. **„ტარიფები“** — ჩვენს ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ტარიფები, გადასახადები და გადაზიდვის შესაბამისი პირობები.
- 2.29. **„სრული ტარიფი“** — ჩვენს მიერ მოწოდებული ყველა მომსახურების სრული ფასი, მათ შორის გადაზიდვის ღირებულება და დამატებითი მომსახურების გადასახადები.

- 2.30. „სამგზავრო დოკუმენტები“ — პასპორტები, ვიზები, ჯანმრთელობის ცნობები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც კანონით არის განსაზღვრული ქვეყანაში შესვლის ან გასვლისთვის.
- 2.31. „ვებგვერდი“ — ავიაკომპანიის ოფიციალური ვებგვერდებგვერდი www.oneclick.aero

3. მოქმედების სფერო და სამართლის არჩევანი

- 3.1. ეს წესები და პირობები ვრცელდება მგზავრებისა და ბარგის ყველა გადაყვანაზე, რომელსაც ახორციელებს სს უანქლიქ ეარვეიზი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენცია ან სავალდებულო მოქმედი კანონმდებლობა სხვაგვარად ითვალისწინებს. ეს წესები და პირობები ვრცელდება ნებისმიერ რეისზე, რომელიც მითითებულია მარშრუტის ქვითარში, როგორც სს უანქლიქ ეარვეიზის, როგორც გადამზიდავის მიერ შესრულებული, ასევე ნებისმიერ რეისზე, რომელსაც სხვაგვარად ახორციელებს სს უანქლიქ ეარვეიზი.
- 3.2. გადაზიდვის ხელშეკრულება და ეს წესები და პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.3. ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის კომპეტენტური სასამართლოს მიერ.
- 3.4. ჩვენ მიერ სხვა გადამზიდავების სახელით შესრულებული ფრენები
- 3.4.1. გადაზიდვის ეს ზოგადი პირობები ვრცელდება ნებისმიერ რეისზე ან ფრენის სეგმენტზე, რომელსაც ახორციელებს სს უანქლიქ ეარვეიზი, როგორც ოპერირებადი გადამზიდავი, მაშინაც კი, თუ რეისი რეკლამირებულია ან იყიდება სხვა ავიაკომპანიის (შემდგომში „კონტრაქტორი გადამზიდავი“) კოდით, სავაჭრო სახელწოდებით ან ბრენდით.
- 3.4.2. ასეთ შემთხვევებში, თუ თქვენ გაქვთ გადაზიდვის ხელშეკრულება კონტრაქტორ გადამზიდავთან, თქვენი და თქვენი ბარგის სს უანქლიქ ეარვეიზის მიერ გადაზიდვა რეგულირდება:
- 3.4.2.1. გადაზიდვის ამ ზოგადი პირობებით; და
- 3.4.2.2. კონტრაქტორი გადამზიდავის გადაზიდვის პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება გადაზიდვის ამ ზოგად პირობებს.
- 3.4.3. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, თუ სს უანქლიქ ეარვეიზი არის ოპერაციული გადამზიდავი, ჩვენი პასუხისმგებლობის დებულებები (მუხლი 11), ბარგის წესები (მუხლი 8), ქვევის წესები (მუხლი 10), პრეტენზიების პროცედურები (მუხლი 12) და ფაქტობრივი გადაზიდვის მარეგულირებელი ყველა სხვა პირობა და წესი გამოიყენება და უპირატესობა ენიჭება კონტრაქტორი გადამზიდავის ნებისმიერ წინააღმდეგობრივ პირობებს.
- 3.4.4. თქვენი რეისის ფაქტობრივი ოპერატორის დასახელება გეცნობებათ კანონმდებლობის დაცვით - მიეთითება ჯავშანში, მარშრუტის ქვითარში ან/და გეცნობებათ უშუალოდ აეროპორტში.

4. დაჯავშნა

- 4.1. ჯავშნის განხორციელება შესაძლებელია უშუალოდ ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით.
- 4.2. ჯავშანი ჩაითვლება დადასტურებულად მხოლოდ სრული ტარიფის სრულად გადახდისა და ჩვენი მხრიდან მარშრუტის ქვითრის გაცემის შემდეგ. მარშრუტის ქვითარი (და, ბარგის არსებობის შემთხვევაში, ბარგის საიდენტიფიკაციო ქვითარი) ადასტურებს თქვენსა და ჩვენს შორის საჰაერო გადაყვანის შესახებ ხელშეკრულების დადებას; ცალკე ბილეთი არ გაცივმა. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გავაუქმოთ ნებისმიერი ჯავშანი, რომელიც სრულად არ არის გადახდილი. დადასტურება და მარშრუტის ქვითარი გამოგეგზავნებათ იმ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, რომელიც დაჯავშნის დასრულებისას გექნებათ მითითებული.
- 4.3. ჩვენ უზრუნველვყოფთ ტრანსპორტირებას მხოლოდ მარშრუტის ქვითარში მითითებულ პირს (პირთა ჯგუფს) და გვაქვს უფლება მოვითხოვოთ მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 4.4. თქვენ პასუხისმგებელი ხართ მგზავრების ზუსტი სახელებისა და საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდებაზე. ჯავშნის განმახორციელებელი პირი ითვლება ჯავშანში მითითებული ყველა მგზავრის წარმომადგენლად და ეთანხმება ამ პირობებს მათი სახელით.
გარდა ამისა, თუ ჯავშნის განმახორციელებელი პირი არ არის მგზავრი, მაგრამ მისი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია თქვენს ჯავშანში, თქვენ ეთანხმებით, რომ ეს პირი:
 - 4.4.1. პასუხისმგებელია ჩვენგან ან ჩვენი მომსახურების მიმწოდებლებისგან ჯავშანთან დაკავშირებული ყველა შეტყობინების მიღებაზე; და
 - 4.4.2. თუ ჯავშნის განმახორციელებელი პირს ან მგზავრს წერილობით სხვა რამ არ შეუთანხმებია ჩვენთან, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჯავშნის განმახორციელებელ პირს აქვს მგზავრისგან მიღებული მოქმედი უფლებამოსილება, მიიღოს ნებისმიერი ანაზღაურება ასევე შესაბამის შემთხვევაში, ჯავშნის საფუძველზე გადასახდელი გაუთვალისწინებელი ხარჯები ან კომპენსაცია. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი აღნიშნული თანხის ჯავშნის განმახორციელებელი პირის მიერ მგზავრისთვის გადახდაზე.
- 4.5. თუ თქვენ გაქვთ შეზღუდული მობილურობა და/ან გჭირდებათ სპეციალური დახმარება (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, დამხმარე ძაღლის ტრანსპორტირება), თქვენი რეისის დაგეგმილ გამგზავრებამდე არაუგვიანეს 48 საათისა უნდა გვაცნობოთ თქვენი საჭიროებებისა და ნებისმიერი მობილურობის დამხმარე საშუალებების ან მოწყობილობების საჭიროების შესახებ, რომელთა თან წადებაც გსურთ. ამისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების გუნდს ჩვენს ვებგვერდზე მითითებული სპეციალური ტელეფონის ნომრების ან ელექტრონული ფოსტის მისამართის საშუალებით.

- 4.6. თუ გსურთ სპეციალური ბარგის (მაგალითად მსხვრევადი ნივთები, სპორტული ან მუსიკალური ინვენტარი და სხვა) ან ისეთი ნივთების ტრანსპორტირება, რომლის გადატანა აკრძალული არ არის, მაგრამ ექვემდებარება დამატებითი წესების დაცვას, უნდა დაგვიკავშირდეთ მომხმარებელთა მომსახურების გუნდში და გვაცნობოთ ამის შესახებ წინასწარ.
- 4.7. თქვენს ჯავშანში შეთანხმებული ნებისმიერი ცვლილება აისახება ახალ მარშრუტის ქვითარში. ამ შემთხვევაში, ახალი მარშრუტის ქვითარი წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულებას მისი გაცემის მომენტიდან.
- 4.8. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი მარშრუტის ქვითრის ან ჯავშნის კოდის შეცვლა (ხელახლა გაგზავნა) ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების გუნდში დარეკვით. ამ სერვისისთვის შეიძლება დაგეკისროთ ადმინისტრაციული საფასურის გადახდა.
- 4.9. თუ თვლით, რომ გააკეთეთ ჯავშანი, მაგრამ არ მიგიღიათ მარშრუტი ან ჯავშნის დადასტურება, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების გუნდს.
- 4.10. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ინფორმაცია და წესები ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პოლიტიკის დოკუმენტში.

5. ტარიფები, გადასახადები და გადახდა

- 5.1. ტარიფი გამოითვლება ლარში (GEL) ჯავშნის დროს და მოიცავს ტრანსპორტირების ღირებულებას გამგზავრების აეროპორტიდან დანიშნულების აეროპორტამდე.
- 5.2. მთლიანი ტარიფი მოიცავს ყველა გადასახადს, გადასახდელსა და მოსაკრებელს, რომელიც ცნობილია ჯავშნის დროს. თქვენ ეთანხმებით გადაიხადოთ სახელმწიფო უწყებების და აეროპორტების ადმინისტრაციების მიერ თქვენი ჯავშნის დადასტურების შემდეგ გამგზავრებამდე დადგენილი ნებისმიერი ახალი ან გაზრდილი გადასახადი, გადასახდელი და მოსაკრებელი. გადაუხდელობა გამოიწვევს მომსახურების შეუსრულებლობას.
- 5.3. ჯავშნის შემდეგ შესაძლებელია შეიძინოთ ზოგიერთი დამატებითი მომსახურება.
- 5.4. გადახდა სრულად უნდა განხორციელდეს ლარში დაჯავშნის დროს, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი თქვენი ბანკის ან ბარათის გამცემის მიერ ვალუტის კონვერტაციის სხვაობაზე.
- 5.5. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, თქვენი ჯავშანი სრულად უნდა გადაიხადოთ დაჯავშნის დროს. ჩვენ უნდა მივიღოთ სრული ტარიფი მითითებულ ვალუტაში და მითითებულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ჯავშანი იქნება უმოქმედო და გაუქმდება.

6. ცვლილებები, გაუქმებები და თანხის დაბრუნება

- 6.1. ფრენის დრო არ არის გარანტირებული. ჩვენ შეიძლება შევცვალოთ გრაფიკი საოპერაციო, კომერციული ან უსაფრთხოების მიზეზების გამო. არსებითი ცვლილების (ფრენის გაუქმება

გრძელვადიანი გადადება) დროს შემოთავაზებულ ცვლილებებზე თქვენი უარის შემთხვევაში, შეიძლება მოგენიჭოთ ბილეთის შეცვლი ან სრული თანხის დაბრუნების უფლება. ინფორმაციას ნებისმიერი ცვლილების შესახებ მიიღებთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

6.2. თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ფრენა მომსახურების საფასურის და ტარიფში არსებული სხვაობის გადახდის შემთხვევაში. ასევე შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი ჯავშანი გაუქმების საფასურის გადახდის შემთხვევაში, როგორც ეს მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე. ჩვენი ტარიფები და გადასახადები, როგორც წესი, არ ანაზღაურდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ წესებსა და პირობებში ან მოქმედი კანონმდებლობით ან რეგულაციით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.3. თანხის დაბრუნება განხორციელდება იმავე გზით, რომლითაც წარმოებული იყო გადახდა. თანხის დაბრუნება დამუშავდება გონივრულ ვადაში, მაქსიმალური ვადა არ გაცდება კანონით დადგენილ დროის ჩარჩოებს.

6.4. ცვლილებები გადაყვანის ხელშეკრულებაში

6.4.1. თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი ჯავშანი დაგეგმილ რეისამდე სულ მცირე თოთხმეტი (14) დღით ადრე. ჯავშნის გაუქმების შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება დაიბრუნოთ სრული თანხა, გაუქმების საფასურის გამოკლებით, რომლის გამოანგარიშების წესი მოცემულია ჩვენს ვებგვერდზე.

6.4.2. თუ ჯავშანს გააუქმებთ დაგეგმილ გამგზავრებამდე თოთხმეტი (14) დღით ადრე, თქვენთვის დასაბრუნებელ ანაზღაურებას ასევე გამოაკლდება, ნებისმიერი დამატებითი მომსახურების საფასური. დამატებითი მომსახურების ფასები მითითებულია ჩვენს ვებგვერდზე.

6.4.3. შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ფრენა ჩვენს სხვა ხელმისაწვდომ რეისზე, შესაბამისი მომსახურების საფასურის და ტარიფში სხვაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით. სხვაობა გამოითვლება ცვლილების დროს. თუ ახალი ტარიფი უფრო დაბალია, ვიდრე საწყისი, სხვაობა არ ანაზღაურდება. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს.

7. რეგისტრაცია და ჩასხდომა

7.1. თქვენ ვალდებული ხართ აეროპორტში გამგზავრებამდე საკმარისად ადრე მიხვიდეთ რეგისტრაციისთვის, ბარგის ჩასაბარებლად, უსაფრთხოების წესების დაცვით და ყველა სამთავრობო ფორმალობის დასასრულებლად.

7.2. რეგისტრაციის ბოლო ვადა განსხვავდება აეროპორტების მიხედვით და გამოქვეყნებულია ჩვენს ვებგვერდზე ან შეგიძლიათ გაიგოთ მომხმარებელთა მომსახურების მეშვეობით. თქვენ ხართ პასუხისმგებელი ამ ვადების დაცვაზე.

7.3. ჩასხდომის შესასვლელთან უნდა წარმოადგინოთ მოქმედი ჩასხდომის ბარათი და ყველა საჭირო სამგზავრო დოკუმენტი.

7.4. თუ მგზავრი დროულად ვერ მივა რეგისტრაციის პუნქტთან ან ჩასხდომის კარიბჭესთან, ან არ აქვს შესაბამისი დოკუმენტები და არ არის მზად მგზავრობისთვის, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გავაუქმოთ დაჯავშნილი ადგილი და არ ვართ ვალდებული გადავადოთ ფრენა. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე ან ხარჯზე, რომელიც წარმოიშობა მგზავრის მიერ ამ მუხლის დებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

8. ბარგი

8.1. რეგისტრირებული ბარგი. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ რეგისტრირებული ბარგის დასაშვები ნორმა. ერთი ცალის წონა არ უნდა აღემატებოდეს 32 კგ-ს, ხოლო ზომები არ უნდა აღემატებოდეს 149 × 119 × 171 სმ-ს. ნივთები, რომლებიც არ არის განკუთვნილი ბარგის საბარგულში გადასატანად (მაგალითად, მყიფე ნივთები, ელექტრონული მოწყობილობები, ძვირფასი ნივთები), არ უნდა მოთავსდეს რეგისტრირებულ ბარგში. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი ასეთი ნივთების დაზიანებაზე ან დაკარგვაზე.

8.2. ხელბარგი ტარიფში შედის ერთი ცალი ხელბარგი თითო მგზავრზე, დადგენილი ზომისა და წონის შეზღუდვების დაცვით (მაგალითად, არაუმეტეს 40 × 30 × 20 სმ). თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ნებართვა უფრო დიდი ზომის ხელბარგის ტარებაზე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

8.3. სახიფათო ტვირთი. სახიფათო ტვირთის ბარგით გადატანა აკრძალულია. ასეთი ტვირთები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ასაფეთქებელი ნივთიერებებით, აირებით, აალებადი სითხეებით, რადიოაქტიური მასალებითა და სხვა ნივთებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის ფრენის უსაფრთხოებას. აკრძალული ნივთების დეტალური სია ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში და გამოქვეყნებულია ჩვენს ვებგვერდზე.

8.4. ხელბარგის გარდა, შეგიძლიათ ბორტზე თან იქონიოთ შემდეგი მცირე ზომის პირადი ნივთები დამატებითი გადასახადის გარეშე:

8.4.1. ქურთუკი ან საბანი;

8.4.2. მობილური ტელეფონი;

8.4.3. ფრენის დროს წასაკითხი მასალები;

8.4.4. ორ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - ფრენის დროს საჭირო კვება;

8.4.5. უბაჟო საქონელი, რომელიც შეძენილია გამგზავრების დარბაზში უსაფრთხოების შემოწმების შემდეგ;

8.4.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი ყავარჯნების წყვილი;

8.4.7. უკან მიმართული ბავშვის სავარძელი შიდა ღვედით, თუ ჩვილი მგზავრობს ცალკე შეძენილ სავარძელში. სავარძელს უნდა ჰქონდეს საკეტი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მის საიმედო დამაგრებას მგზავრის ღვედით.

9. გადაზიდვაზე უარი და შეზღუდვები

9.1. გადაზიდვაზე უარის თქმის უფლება. გადამზიდავს უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერი მგზავრის ან/და მისი ბარგის გადაყვანაზე უსაფრთხოების მიზეზების გამო ან თუ, მისი გონივრული შეხედულებისამებრ, დადგინდება, რომ:

9.1.1. ასეთი ქმედება აუცილებელია ნებისმიერი სახელმწიფოს ან ტერიტორიის მოქმედი კანონების, რეგულაციების ან ბრძანებების შესასრულებლად, საიდანაც, მიმართულებით ან რომლის გავლითაც უნდა განხორციელდეს ფრენა; ან

9.1.2. ცნობილია, რომ მას არ აქვს დანიშნულების ქვეყანაში შესვლის უფლება; ან

9.1.3. მგზავრის ქცევა, ასაკი ან ფსიქიკური ან ფიზიკური მდგომარეობა შეიძლება იყოს ისეთი, რომ:

9.1.3.1. მოითხოვს გადამზიდავის სპეციალურ დახმარებას; ან

9.1.3.2. იწვევს დისკომფორტს ან მტრულ განწყობას სხვა მგზავრების მიმართ; ან

9.1.3.3. ქმნის საფრთხეს ან რისკს თავად მგზავრისთვის, სხვა პირებისთვის ან ქონებისთვის.

9.1.4. ასეთი ქმედება აუცილებელია, რადგან მგზავრმა არ შეასრულა გადამზიდავის მითითებები; ან

9.1.5. მგზავრმა უარი თქვა უსაფრთხოების შემოწმების გავლაზე; ან

9.1.6. არ არის გადახდილი შესაბამისი ტარიფი, რომელიმე გადასახადი ან მოსაკრებელი, ან არ არის დაცული გადამზიდავსა და მგზავრს (ან ბილეთის ფასის გადამხდელ პირს) შორის დადებული შეთანხმებები; ან

9.1.7. მგზავრს არ აქვს შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტები; ან

9.1.8. მგზავრის მიერ წარდგენილი ბილეთი:

9.1.8.1. უკანონოდ იქნა შექმნილი ან შექმნილი იყო გამცემი გადამზიდავის ან მისი უფლებამოსილი აგენტის გარდა სხვა პირისგან; ან

9.1.8.2. დაკარგულად ან მოპარულად იქნა გამოცხადებული; ან

9.1.8.3. ყალბია; ან

9.1.8.4. ჩასხდომის ბარათი შეიცვალა გადამზიდავის მიერ არაავტორიზებული პირის მიერ ან დაზიანებულია. ამ შემთხვევებში, გადამზიდავი იტოვებს უფლებას ჩამოართვას ასეთი ბილეთი მის მფლობელს;

9.1.9. ბილეთის წარმდგენი პირი ვერ ამტკიცებს, რომ ის არის „მგზავრის სახელის“ სვეტში მითითებული პირი. ამ შემთხვევაში, გადამზიდავი ასევე იტოვებს უფლებას ჩამოართვას მას ბილეთი.

9.1.10. გადაყვანის შეზღუდვები

თანმხლები პირის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნები, ქმედუნარო პირები, ორსული ქალები

და ავადმყოფი პირები შეიძლება მივიღოთ გადასაყვანად მხოლოდ გადამზიდავის წინასწარი თანხმობის შემდეგ.

10. თვითმფრინავის ბორტზე ქცევის წესი

- 10.1. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მგზავრი ვალდებულია დაიცვას თვითმფრინავის მეთაურისა და ეკიპაჟის წევრების ყველა მითითება.
- 10.2. გადამზიდავი იტოვებს უფლებას უარი თქვას მგზავრის გადაყვანაზე ან გაიყვანოს იგი რეისიდან, თუ მისი ქცევა საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას, უქმნის უხერხულობას ან ტანჯვას სხვებს, ან არის დისფუნქციური, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული. მგზავრი პასუხისმგებელია ასეთი ქცევის შედეგად წარმოშობილ ყველა ზიანსა და ხარჯზე.
- 10.3. მოწვევა, მათ შორის ელექტრონული სიგარეტის გამოყენება, მკაცრად აკრძალულია ჩვენს თვითმფრინავში. ასევე აკრძალულია ალკოჰოლური სასმელების მოხმარება, რომლებიც არ არის შეძენილი გადამზიდავისგან.

11. პასუხისმგებლობა

- 11.1. ჩვენი პასუხისმგებლობა სიკვდილზე, დაზიანებაზე, დაგვიანებაზე, ბარგის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე რეგულირდება კონვენციის დებულებებით და ამ პირობებით.
- 11.2. დადასტურებული ზიანის შემთხვევაში, ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 128,821 SDR-ით თითო მგზავრზე, თუ არ დავამტკიცებთ, რომ ზიანი გამოწვეული ან ხელშეწყობილი იყო დამავებული ან გარდაცვლილი მგზავრის დაუდევრობით. თუ თანხა აღემატება 128,821 SDR-ს, ჩვენ ასევე გვაქვს უფლება გამოვიყენოთ კონვენციით გათვალისწინებული სხვა საშუალებები (მოთხოვნის შესაბამისად). ამ თანხაზე მეტი მოთხოვნების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება გავთავისუფლდეთ პასუხისმგებლობისგან, თუ დავამტკიცებთ, რომ:
 - 11.2.1. ზიანი არ იყო გამოწვეული ჩვენი არასწორი მოქმედებით, უმოქმედობით, განზრახვით ან დაუდევრობით, ან ჩვენი თანამშრომლების, აგენტების ან მოსამსახურეების მოქმედებით; ან
 - 11.2.2. ზიანი გამოწვეული იყო მხოლოდ მესამე მხარის არასწორი მოქმედებით, უმოქმედობით, განზრახვით ან დაუდევრობით.
- 11.3. თუ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ზიანი გამოწვეული იყო (ან ხელი შეუწყო) გარდაცვლილი ან დამავებული მგზავრის დაუდევრობით, არასწორი მოქმედებით ან უმოქმედობით, ჩვენ შეიძლება გათავისუფლდეთ პასუხისმგებლობისგან, მთლიანად ან ნაწილობრივ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 11.4. ჩვენი პასუხისმგებლობა ბარგის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შემოიფარგლება 1,288 SDR-ით თითო მგზავრზე, თუ წინასწარ არ არის გამოცხადებული უფრო

მაღალი ღირებულება და არ არის გადახდილი დამატებითი თანხა. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი არარეგისტრირებული ბარგის დაზიანებაზე, თუ ზიანი ჩვენი ბრალით არ არის გამოწვეული.

- 11.5. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი თქვენი ბარგის გარეგნობის მცირე დაზიანებაზე (მაგალითად, ნაკაწრები, ჭუჭყი, ლაქები ან ჩაღრმავებები), რომელიც გამოწვეულია ტრანსპორტირების დროს ნორმალური ცვეთის შედეგად. პასუხისმგებლობა მიიღება მხოლოდ იმ დაზიანებისთვის, რომელიც ხელს უშლის ბარგის შემდგომ ფუნქციურ გამოყენებას.
- 11.6. ჩვენი პასუხისმგებლობა დაგვიანებით გამოწვეული ზიანისთვის შემოიფარგლება 5,346 SDR-ით თითო მგზავრზე. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი, თუ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ, ჩვენმა თანამშრომლებმა, მოსამსახურებმა ან აგენტებმა მივიღეთ ყველა გონივრული ზომა დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ან რომ ასეთი ზომების მიღება შეუძლებელი იყო.
- 11.7. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი რაიმე არაპირდაპირ, შემთხვევით ან თანმდევ ზიანზე. პასუხისმგებლობის ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვები ასევე ვრცელდება ჩვენს აგენტებზე, მოსამსახურეებსა და თანამშრომლებზე.

12. პრეტენზიები და ვადები

12.1. პრეტენზიები ბარგზე

- 12.1.1. რეგისტრირებული ბარგის დაზიანების შემთხვევაში, თქვენ უნდა წარადგინოთ წერილობითი პრეტენზია დაზიანების აღმოჩენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს შვიდი (7) დღისა ბარგის მიღებიდან.
- 12.1.2. ბარგის დაგვიანების შემთხვევაში, წერილობითი პრეტენზია უნდა წარადგინოთ არაუგვიანეს ოცდაერთი (21) დღისა ბარგის თქვენთვის გადაცემის დღიდან.
- 12.2. მგზავრის პირად დაზიანებასთან ან გარდაცვალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ უნდა გვეცნობოს წერილობითი ფორმით რაც შეიძლება მალე.
- 12.3. ყველა სხვა მოთხოვნა უნდა წარედგინოს წერილობით არაუგვიანეს ინციდენტის დღიდან ორ (2) თვის განმავლობაში.
- 12.4. კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო გადაზიდვებთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ნებისმიერ სარჩელში, კომპენსაციის უფლება ქრება, თუ სარჩელი არ იქნება შეტანილი დანიშნულების ადგილზე ჩასვლიდან ორი წლის განმავლობაში, ან იმ დღიდან, როდესაც თვითმფრინავი უნდა ჩამოსულიყო, ან იმ დღიდან, როდესაც გადაზიდვა შეწყდა.
- 12.5. კონვენციით დაურეგულირებელი ნებისმიერი მოთხოვნისთვის (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, მხოლოდ საქართველოს ფარგლებში შიდა გადაზიდვებისთვის), ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებული ხელშეკრულებებისთვის, ზოგადად სამი წელია იმ დღიდან,

როდესაც მომჩივანმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ზიანისა და პასუხისმგებელი მხარის ვინაობის შესახებ.

- 12.6. ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის პროცედურა, ასევე მისი შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები რეგულირდება იმ სასამართლოს კანონმდებლობით, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება საქმეზე.

13. სხვადასხვა დებულებები

- 13.1. თუ ამ პირობების რომელიმე დებულება ბათილად გამოცხადდება, დარჩენილი დებულებები სრულად ძალაში დარჩება.
- 13.2. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ნებისმიერ დროს შევცვალოთ ეს პირობები. თქვენს შეთანხმებაზე გავრცელდება იმ პირობების ის ვერსია, რომელიც მოქმედებდა თქვენი დაჯავშნის დროს.
- 13.3. ჩვენ ვაგროვებთ და ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ჩვენს ვებგვერდზე.